# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 92. ხუთშაბათი, 13 თებერვალი 1903 წ. გაზეთის № 2068.

## სიმართლე

უკანასკნელი რომანი

ზოლასი

(შემდეგი)

მთელ იმ დიდ ქუჩაზე ხალხი ყვირილითა და ყიჟინით ეტლს უკან მისდევდა. მარკოზი გაბრუებული მოედანზე იდგა და გულის ტკივილით ჰფიქრობდა ამ ხალხზე, ორის დღის წინად რომ კიჟინით და მუქარით სკოლიდან გამოსულ მღვდლებს აცილებდა და ახლა კი იგივე ხალხი გაცოფებული ამ უდანაშაულო კაცს მოსაკლავად უკან მისდევდა. ორი დღე საკმაო იყო, რომ ამ ხალხის აზრი შეეცვალათ. მღვდლებზე მიტანილი იერიში ასეთის ხელოვნებით იყო ნასხლეტი, ისეთის საშინელის ხელით იყო უკან ნატყორცნი მოწამლული ისარი, რომ მარკოზმა, როდესაც წარმოიდგინა, რა საიდუმლოდ, რა სიბნელეში, რა ულმობელ ხელს უნდა ემოქმედნა, რომ ასე დაეტრიალებინა ხალხის აზრი, შიშმა აიტანა; იმედებ გაწყვეტილი ხედავდა, რომ სიმართლეს ხასიკვდილო სიბნელე ეფარებოდა და ამის გამო მარკოზმა საშინელი გულის ტკივილი იგრძნო.

ამ ხანად ზეფირინის დასამარხავად მოსული ხალხი რიგზე ეწყობოდა. მარკოზმა დაინახა, რომ რუზერის ქალი თავის კლასის პატარა ქალებით სიმონის ჯვარცმას დაესწრო და უბრალო ნიშნითაც კი არ გამოუხატნია გულის ტკივილი. მინოტიც რამდენისამე თავის მოწაფით იქ იყო და არც ეს მისულა, რომ უფროსისათვის ხელი გაეწოდებინა; თუმცა იმის დაკარგულ სახეს თითქო ეტყობოდა რომ სინიდისი აწუხებდა, მაგრამ გული სხვას ეუბნებოდა და ინტერესი კიდევ სხვას. როგორც იყო, ხალხი დიდის ამბით სენ-მარტენის ეკლესიისაკენ დაიძრა. აქაც ადამიანი ჰხედავდა ოსტატურ ხელს, რომელსაც ყველაფერი იმნაირად მოეწყო, რომ ხალხის გული მოეგო, ამავე დროს შებრალება გამოეწვია და შურის საძიებლად აემხედრებინა იგი. პატარა ზეფირინის კუბოს გარშემო ამხანაგები იდგნენ. სწორედ ისინი, ვინც იმასთან ერთად ეზიარნენ. შემდეგ, მერი დარასი და მისი მოხელენი. ამათ უკან მოსდევდა წმ. ძმათა სკოლა, რომელსაც წინ მიუძღოდნენ წმ. ძმა ფულგენსი და იმის თანაშემწენი—წმ. ძმები ლაზარე და გორგიოსი. ყველაზე მეტად ფაცა-ფუცობდა და განკარგულებას აძლევდა წმ. ძმა ფულგენსი: ხან აქ მივიდოდა, ხან იქ. თვით რუზერის ქალის მოსწავლეებსაც კი წინამძღოლობდა, თითქო იმის ხელქვეითნი ყოფილიყვნენ. ამათ გარდა დასაფლავებას დაესწრნენ კაპუცინები და მათი წინამძღოლი მამა თეოდოსი; ვალმარიდან საგანგებოდ ჩამოსულიყვნენ იეზუიტები და მათი რექტორი კრაბო, და ყოველის მხრიდან იმდენ მღვდლებს მოეყარათ თავი, რომ ანაფორების ფრიალი ყველაფერს ჩრდილავდა. ერთის სიტყვით, თითქო საომრად გამოსულაო, ეკლესიას მთელი თავისი ჯარი გამოეყვანა, რომ დაჰპატრონებოდა ამ გასისხლიანებულ პატარა ბავშვის გვამს, რომელიც ასე დიდის ამბით იმარხებოდა.

გზაში ყველგან ქვითინი გაისმოდა და აღელვებული ხალხი გაიძახოდა:

— სიკვდილი ურიებს! სიკვდილი ურიებს!

შემდეგ შემთხვევამ უარესად გაუმწარა მარკოზს გული: პირველ დაწყებით სკოლების ინსპექტორი მორეზინი, როგორც წინა დღეს, ეხლაც საგანგებოდ ბომონიდან ჩამოსულიყო, რომ თავისი მიმართულება ყველასათვის თვალსაჩინო გაეხადა; როდესაც მამა კრაბომ გვერდზე გაუარა, ერთმანეთს იმ ნაირად გაუღიმეს, იმ ნაირი სალამი მისცეს, თითქო ორივემ კარგად იცის, როგორც იყო საქმე და ერთმანეთს ქცევას უწონებენო. იმათ დანახვაზე მარკოზს უფრო ნათლად დაეხატა თვალ-წინ ყველა ის საძაგლობა, რაც ამ ორის დღის განმავლობაში მოეხდინათ.

მოულოდნელად მარკოზს მხარზე ვიღაცამ ხელი დაადო და რომ მოტრიალდა დაინახა ფერუ, ისევ ის მშიერი მასწავლებელი ფერუ, ყველასა და ყველაფერზე აღშფოთებული, თმებ გაწეწილი, წოწოლა და გამხმარ თავა ფერუ. ბრაზ-მორეულის ხმით დაუწყო იმან ლაპარაკი.

— აბა, ჩემო ყოჩაღო და უმანკო ამხანაგო, რომ გეუბნებოდი? ხომ ჰხედავ? მურტალი ურია თავის ძმის წულის გამაპატიურებელი და მკვლელი გამოდგა და ეხლა ბომონის სატუსაღოსაკენ მიაქროლებენ; ამ დროს კი კეთილნი წმინდა ძმები აქ დღესასწაულობენ! აბა ვის მოუვა თავში ამათ დააბრალოს რამ; ისე იქცევიან, ვითომ ბავშვი ამათი ყოფილიყო, მარტო ამათი და სხვა არავისი! მთელმა ქალაქმა თავის თვალით დაინახა, რა დიდის ამბითაც დაასაფლავეს პატარა მიცვალებული და აშკარაა ამის შემდეგ ვინ გაჰბედავს იმათ რამ დასწამოს! ყველაზე სასაცილო კი ის ტუტუცი ძმა ფულგენსია, ცხენის ბუზსავით რომ დაბზუის და ყველას უძვრება. ძალიან სცდილობს და ფაცი-ფუცობს! მამა კრაბოც ხომ დაინახეთ, გაიძვერულად რომ იღიმება ხოლმე; მართალია, ჭკვიანი და მოხერხებული კაცის სახელი აქვს გავარდნილი, მაგრამ მგონი ცოტა აკლია და მოისულელებს. მაგრამ გახსოვდეს ჩემი სიტყვა—ყველაზე მძლავრი ამათში ისევ მამა ფილიბინია, თუმცა ხალხს ისე აჩვენებს თავსა, რომ ჩერჩეტი ჰგონიათ. ნუ გეშინიან, ეხლა იმას აქ ვერ დაინახავთ, დარწმუნებული იყავით, რომ სადმე ბნელ კუნჭულში თავის საქმეს კარგად არიგებს, არა! მე არ ვიცი, ვინ არის დამნაშავე; იქნება აქ დამსწრეთა შორის არც კია, მხოლოდ, ბრმისთვისაც კი აშკარაა, რომ დამნაშავე ამათ დუქანშია და უმალ მთელ დედამიწას გადააბრუნებენ, ვიდრე იმას გასცემენ.

რა დაინახა, რომ მარკოზი ხმას არ იღებდა და მარტო მხრებს იწევდა, კვლავ განაგრძო:

— ეხლა ხომ ჰხედავთ რა კარგი შემთხვევა მიეცით ჩვენის გასრესისა! საერისკაცო სკოლის მასწავლებელი, ისიც მამათ-მავალი და კაცის-მკვლელი! რა მარჯვე ხელთ საყრელი იარაღია და! ახლა ნახეთ, რა დღეს დაგვაყენებენ ჩვენ, ღმერთისა და სამშობლოს უარ-მყოფელთ! სიკვდილი მოღალატეთ, სიკვდილი ურიებს!

ესა სთქვა და ხელების ქნევით ხალხში გაერია. როგორც თვითონ ფერუ ხშირად ამბობდა, იმისთვის სულ ერთი იყო, როგორ მოეღებოდა ბოლო იმის სიცოცხლეს—გაკუპრულ პერანგს ჩააცმევდნენ და ცეცხლზედ დასწვავდნენ, თუ სადმე უბედურ მორეს სკოლაში სიმშილით სული ამოსძვრებოდა.

საღამოს, ქალბატონებთან ერთად პატარა და ცივს სახლში სადილმა ისე ჩაიარა, რომ თითქმის ხმა არავის ამოუღია. ღამე დასაძინებლად რომ ავიდნენ, ჟენევიევამ შეამჩნია, რომ მარკოზი ძალზე სასოწარკვეთილი და დაღონებული იყო და ასე დარდიანად რომ დაინახა ქმარი, ალერსიანად მოჰხვია ხელები და თვალთაგან ცრემლები ღაპა-ღუპით წამოსქდა. მარკოზს გული აუჩვილდა, მით უფრო, რომ, ამ დღეს იგრძნო,

თითქო ისინი ერთმანეთს ჰშორდებოდნენ და თითქო იმათი კავშირიც ირყეოდა; მხურვალედ მიიკრა გულზე ცოლი და ხმის ამოუღებლად, ერთმანეთის გულზე მიკრულნი დიდ ხანს სტიროდნენ.

შემდეგ გაუბედავად უთხრა ქალმა:

— ჩემო კარგო მარკოზ, ყური დამიგდე! მე მგონია, უკეთესი იქნება მალე გავეცალოთ აქაურობას; ნეტავი ხვალვე წავიდეთ აქედან!

მარკოზი გაოცებული დარჩა.

— განა თავი მოვაბეზრეთ? შენ ხომ არ დაგავალეს ჩემთვის გეთქვა ესა!—ჰკითხა მარკოზმა.

— სრულიადაც არა! პირ იქით, დიდი დედას ეს ძალიან ეწყინება და თუ წასვლას გადავწყვეტთ, რამე მიზეზი უნდა გამოვიგონოთ, ვითომ დეპეშით რამე საქმისთვის დაგიბარეს, ან სხვა რამ...

— მაშ რატომ არ გინდა, რომ მთელი თვე აქ გავატაროთ, როგორც ჩვეულებადა გვქონდა ხოლმე! უეჭველია, გული აუცრუვდა ჩემზე, მაგრამ მე კი ჩემის მხრივ, სამდურავი არაფერი მაქვს.

— შენ მართალი ხარ; დავრჩეთ აქ ისევე და მოვალეობა ისე აღასრულე, როგორც შენ საჭიროდ მიგაჩნია. მეტად გვიყვარს ერთმანეთი და მინდა სამარადისოდ ბედნიერნი ვიყვნეთ.

III

ამის შემდეგ გადაწყვეტილ იქმნა, ამ ქალების პატარა სახლში სიმონის საქმის შესახებ ხმა არავის ამოეღო. ყველა სცდილობდა გადაკვრითაც კი, არაფერი ეთქვა, რომ ჩხუბი და აყალ-მაყალი არ მოჰყოლოდა. სუფრაზე იმაზე-ღა ლაპარაკობდნენ—დღეს კარგი ან ავი ამინდიაო, და აღარც კი იგონებდნენ მელბოაში მომხდარს ამბავს, თითქო ეს ადგილი ცხრა მთას იქით ყოფილიყო. აღარ იგონებდნენ მელბოას, სადაც მცხოვრებნი სიბრაზისაგან ჰბორგავდნენ. ცეცხლს იკიდებდნენ, ოცდა ათის წლის მეგობრები ერთმანეთს მტრად ეკიდებოდნენ ამ ამბის გამო, ოჯახის წევრნი ერთმანერთს ხმას არა სცემდნენ და ხშირად საქმე მუქარითა და მუშტი-კრივით თავდებოდა ხოლმე. მარკოზს ჟენევიევის მშობლებთან თავი ისე ეჭირა, თითქო არაფერი ეინტერესებაო; და ლაპარაკს



აბა ჩაჭბერე!..—სურათი ბერგენისა.

ჟენევიევა ერთხანს გაჩუმდა, თავს უხერხულადა ჰგრძნობდა, რცხვენოდა, ვერ გაებედნა თავისი შიში გაეზიარებინა, ვერ გაებედნა ეთქვა ქმრისათვის, რომ მთელ საღამოს განმავლობაში დედა საყვედურს ეუბნებოდა და, ცოტა არ იყოს, გულიც კი აუცრუვდა იმაზე. ეგონა, ვითომ ის აზრები და გრძნობანი, გათხოვებამდე რომ მქონდა, კვლავ დამიბრუნდა, და ეს აზრი და გრძნობანი იძულებულ მყოფენ ანგარიში გავუწიო და თვალი თვალში გავუყარო ჩემს აწინდელს ცხოვრებას, როცა უკვე ცოლი ვარ მარკოზისა და დედა ვარ ჩემის პატარა ქალისაო. მაგრამ ყოველივე შიში უცბად მოიშორა თავიდან. ისევ გამხიარულდა და ნდობით დაუწყო ყურება მარკოზს, მისი ალერსი გულს უნათლებდა. მახლობლად აკვანში პატარა ლუიზა იწვა და იმისი ტკბილი და ზომიერი ფშვინვა ყურში ეწვეთებოდა.

ერიდებოდა, მაგრამ სახლს გარედ კი თავგამოდებული და მამაცი მუშა იყო სიმართლისა და სამართლიანობისა.

იმ საღამოს, როცა სიმონი დაიჭირეს, მარკოზმა იმის ცოლს ურჩია, თქვენის შვილებითურთ დედ-მამასთან დაბინავდითო. იმისი დედ-მამა ღემანები თერძები იყვნენ და ტრუს ქუჩაზე სცხოვრობდნენ, ერთს ვიწროსა და ბნელს სახლში. სკოლის მოსწავლენი საზაფხულოდ იყვნენ დათხოვნილნი, თვით სკოლა დაკეტილი იყო, სკოლის შენობის ყურისაგდებლად უფროს მასწავლებლის თანაშემწე მინო იყო დარჩენილი. ისიც დილაობით სათევზაოდ დადიოდა იქვე ახლო მდინარე ვერპილზე. თვით რუზეროს ქალი ამ წელიწადს საზაფხულოდ მამიდასთან არ წასულა, თუმცა წინად არცერთს ზაფხულს არ უშვებდა,—უნდოდა ამ საქმეში მონაწილეობა მიეღო, რადგან იმის ჩვენებას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

ხიმონის ცოლმა, არ იფიქრონ რისამე მეშინიან და სადმე გავიქეციო, ქოზეფი და სარა ტრუს ქუჩაზე წაიყვანა, თან მხოლოდ ერთი პაწია ბოხჩა წაელო, თითქო რამდენიმე კვირით მიდის დედ-მამასთან დროს გასატარებლადაო.

ამის შემდეგ დღე ისე არ გაივლიდა, მარკოზი ლემანების სანახავად არ წასულიყო. ტრუს ქუჩა პლეზირის ქუჩას გასცქეროდა. ამ ღარიბულს უბანში ამაზე ჰუჰყიანს ქუჩას ვერ იპოვნიდით. ლემანების სახლში ძირს ერთი ბნელი დუქანი იყო; ამ დუქანს უკან უფრორე ბნელი ოთახი ჰქონდა მოდგმული, დუქანს ზემოდან სამი ოთახი იყო, იქიდან კიბე დიდს სხვენში ადიოდა. ამ სხვენში იშვიათად თუ ჩამოვარდებოდა მზის სხივი. დუქნის უკანოთახში სარდაფის სინესტე იდგა, იქ ჰქონდათ გამართული სამზარეულოცა და სასადილოცა. რახიელი ისევ იმ დაღვრემილ ოთახში დადგა, სადაც გათხოვებამდე იდგა; მისი მოხუცი დედ-მამა ერთს ოთახში მოთავსდა, ხოლო მესამეში ბავშვები დააბინავეს. ისინიც ძალიან გახარებულნი იყვნენ, რომ ვრცელი და მხიარული სხვენი იმათ რჩებოდათ და შიგ სირბილი და ცელქობა შეეძლოთ. მარკოზი



სურათი 1.

(იხ. დღევანდელი ფელეტონი „ცნობის ფურცლისა")



სურათი 2.




სურათი 3. პირველი ჟიფარის სამოგზაურო ბურთი.



სურაოი 4 ტისანდიეზის სამოგზაურო საფრენი ბურთი



სურათი 5. სანტოს დუმონის სამგზავრო საფრენი ბურთი




სურათი 6. სევეროს სამგზავრო საფრენი ბურთი



სურათი 6. სევეროს სამგზავრო საფრენი ბურთი

ერთთავად იმასა სწუხდა, რომ რახილი, ეს ღვთაებრივი და იშვიათის სილამაზის პატრონი ქალი, იძულებული შეიქმნა ასეთს ჯირგინაში ეცხოვრნა, გაჭირებული მშობლებთან, რომელთაც წინაპრებმა სიმწარისა და ტანჯვის მეტი არა დაუტოვეს-რა სამკვიდროდ. ორმოცდა ათი წლის ლემანი ნამდვილი კლასიკური ურია იყო, დაბალი, გამხდარი, დიდცხვირა, თვალებს განუწყვეტლივ სჭუტავდა, სქელი და ჭაღარა შერთული წვერი ტუჩებს სრულებით უფარავდა. ხელობამ დაამახინჯა, ცალი მხარი უფრო აწეული ჰქონდა მეორეზე; თავადაც მოკრძალებულს, ამ მხრების უსწორ-მასწორობის გამო თითქო სულ მუდამ რიღასიც ეშინიან, რიღასიც დარდი აქვსო. ცოლს ქმართან ერთად დილიდან საღამომდე ხელში ნემსი ეჭირა, ისიც მოკრძალებული იყო, ისიც დარდიანად გამოიყურებოდა და თავის ჩრდილში აღარც კი სჩანდა. ორივენი მეტის-მეტ გაჭირვებითა სცხოვრობდნენ, წელებზე ფეხს იდგამდნენ, რომ ლუკმაპური ეშოვნათ; იმათი მუშტარი იყო რამდენიმე, ასე თუ ისე, შეძლებული ებრაელი, რამდენიმე ქრისტიანე, ისეთნი, რომელნიც მათის ნამუშავრის სიაფეს ხარბდებოდნენ. ანტისემიტთათვის რომ ყური გეგდოთ, მთელი ოქრო საფრანგეთისა ურიებმა ჩაიგდეს ხელშიო, ყველანი შეძლებულნი არიანო, მაგრამ აბა სწორედ ლემანების შესახებ არ ითქმოდა ესა. ადამინს გული ეწურებოდა სიბრალულით, როცა ამ ორ მოხუცს უყურებდა, უზომოდ გასაწყლებულს, უზომოდ არაქათ გამოლეულს; ორივენი ერთთავად იმის შიშში იყვნენ, ვისმე არ შეხარბდეს ჩვენი ვაივაგლახით ნაშოვნი ლუკმა და პირიდან არ გამოგვაცალოსო.

ლემანებთან მარკოზმა სიმონის ძმა დავითი გაიცნო. სიმონი, შეიპყრეს თუ არა, იმ საღამოსვე დეპეშით დაიბარეს და ისიც დაუყოვნებლივ გაჩნდა. ძმაზე სამის წლით იყო უფროსი, ღონეც, სიმაღლეც სიმონზე მეტი ჰქონდა. იმის სავსე პირისახე, თამამი ტანის მოყვანილობას ნათელი და მხნეობის გამომეტყველი თვალები ამშვენებდა. იმათი მამა ღარიბი მესაათე იყო ბომონში, რაღაც საქმე შეემთხვა და გაკოტრდა. ამის შემდეგ სიმონი „ეკოლ ნორმალ“-ში შევიდა, ხოლო დავითი სამხედრო სამსახურში თორმეტ წელიწადს მსახურობდა, იშოვა ლეიტენანტის ხარისხი, უზომო წვალებისა და ტანჯვის შემდეგ კაპიტნობაც უნდა მიეღო, მაგრამ ამ დროს სამსახურიდან გამოვიდა: რაკი ურია იყო, ამხანაგები და უფროსები ყველანი იმას დასცინოდნენ, ყველას ყბად ასაღები ის იყო; ამდენ დაცინვისა და დამცირების ასატანად ღონე ველარ შესწევდა. სამსახურიდან გამოსვლის შემდეგ ხუთმა წელიწადმა გაიარა. სიმონმა რაშელ ლემანი შეირთო, მისის გასაოცარის სილამაზით ტყვეთ ქმნილმა. დავითი კი უცოლოდ დარჩა, მხნემა და თავოსნობის პატრონმა მუშაობა და ფულის მოგება განიზრახა. მამულ დეზირადას ერთი ნაწილი ბლომად შეიცავდა ქვიშასა და რიყის ქვას. მანამდი აზრად არავის მოსვლია ამ ბუნებრივის სიმდიდრის გამოყენება. დავითმაც სწორედ ამის გამოყენება განიზრახა. ამ მამულის პატრონი იყო ერთი ბანკირი, მილიარდერი ბარონი ნათანი. დავითის საქმიანობა და გამჭრიახება ბარონს მოეწონა და სიამოვნებით მისცა ეს მამული თავისს ერთმორწმუნე კაცს ოცდა-ათის წლის იჯარით. დავითი საქმეში ჩადგა, სამის წლის განმავლობაში ასიოდ ათას ფრანკს მოუყარა თავი, და გამდიდრების გზას სწრაფად დაადგა. საქმე თან-და-თან იზრდებოდა, დავითიც მუშაობდა განუწყვეტლივ და დღესა და ღამეს ასწორებდა.

(შემდეგი იქნება)

## ცელქი ბავშვების ომი

(გერმანულიდან)



I.



II.



III.



IV

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 12 Февраля 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.